საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 49 07/10/2019

ს.ს ი.პ.“იურიდიული მომსახურების სამსახური“-_სათვის
დაბა ხარაგაულში 9 აპრილის ქუჩა N 15-ში , ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მარცხენა ფლიგელში მდებარე ერთი ოთახის საერთო ფართით 15.12 კვ.მ .(ს/კ 36.01.33.046) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფუქტის ფორმით, 10 წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 122–ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის # 669 დადგენილების ,, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 22 - ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, დაბა ხარაგაულში 9 აპრილის ქუჩა N 15-ში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მარცხენა ფლიგელში მდებარე ერთი ოთახის საერთო ფართით 15.12 კვ.მ .(ს/კ 36.01.33.046) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფუქტის ფორმით, 10 წლის ვადით ს.ს.ი.პ. **იურიდიული მომსახურების სამსახური“ - სათვის** გადასაცემად.
მუხლი 2 ?ანკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.
მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 -ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე